ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქიფოთი **4 თებერვალი2019წელი**

მხარეები, ერთის მხრივქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი (ს/კ:415093981) შემდგომში წოდებული. როგორც ,,შემსყიდველი“,წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ კილასონიას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს„სუფთა წყალი“(ს/კ: 205150655)შემდგომში წოდებული, როგორც ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორისირაკლი კალმახელიძისსახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისთანახმად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი“ აწვდის „მომხმარებელს“ „ბინულის“ მარკის სასმელ წყალს (ლიცენზია N00980, გაცემული საქართველოს გარემოს დავისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2007 წლის 30 ნოემბერს) 19 ლიტრის მოცულობის მქონე ბოცებით, მოთხოვნის შესაბამისად და ამ მიზნით დროებით სარგებლობაში გადასცემს „მომხმარებელს“ სასმელი წყლის დისპენსერს და 19 ლიტრის მოცულობის ბოცას, ხოლო „მომხმარებელი“ კისრულობსვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი პროდუქცია და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 შესყიდვისსაშუალება - გამარტივებულიშესყიდვა.

1.3 კლასიფიკატორის დანაყოფი– 41100000 – ბუნებრივი წყალი.

1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი-41110000 - სასმელი წყალი.

2.პროდუქციის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის - 55ერთეული„ბინულის“ მარკის სასმელიწყლის (19 ლიტრი მოცულობის ბოცით)ღირებულებაა550 (ხუთასორმოცდაათი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

2.2.პროდუქციის ოდენობა და მიწოდების ვადები განისაზღვრება ეტაპობრივად მიწოდებულ პროდუქციაზე გაფორმებული შესაბამისი სასაქონლოზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტით.

2.3. პროდუქციის ღირებულებას „მომხმარებელი“ ურიცხავს „მიმწოდებელს“ ფაქტობრივად მიწოდებულ პროდუქციაზეგაფორმებულისასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის ვადაში.

2.4. ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

2.5შემსყიდველისმხრიდანმიღება-ჩაბარებისაქტზეხელმომწერ,უფლებამოსილპირსწარმოადგენს, ქალაქ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისტურიზმის განვითარების ცენტრისსახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2.6 მიღება-ჩაბარებისაქტისგაფორმებისსაფუძველსწარმოადგენსხელშეკრულებისშესრულებისკონტროლზეპასუხისმგე

ბელიპირის მიერ დამოწმებულიდამიმწოდებლისმიერწარმოდგენილიანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული პროდუქციის ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სანიტარულ ნორმებს და სტანდარტებს.

3.2. „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას „მომხმარებლის“ მიერ მითითებულ მისამართზე ეტაპობრივად, „მომხმარებლის“ მიერ წერილობითი, ან სატელეფონო მოთხოვნის შესაბამისად.

3.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 საათის განმავლობაში განათავსოს „მომხმარებლის“ მისამართზე მოთხოვნილი რაოდენობის 19 ლიტრიანი „ბინულის“ მარკის წყლით სავსე ბოცა და სასმელი წყლის დისპენსერი, რაზედაც შესაბამისად ფორმდება სასაქონლო ზედნადებისან/და მიღება-ჩაბარების აქტი.

3.4. სასმელი წყლის დისპენსერი და 19 ლიტრიანიმოცულობის ბოცა საკუთრების უფლებით ეკუთვნის „მიმწოდებელს“ და „მომხმარებელს“ ისინი გადაეცემა დროებით სარგებლობაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ „მომხმარებელი“ გადაწყვეტს შეიძინოს „მიმწოდებლისაგან“„3.4.“ პუნქტით განსაზღვრულიწყლის დისპენსერი, აღნიშნული ქონება გადავა „მომხმარებლის“ საკუთრებაში.

3.6. „მომხმარებელი“ ვალდებულია „მიმწოდებლისაგან“ შეიძინოს წლის განმავლობაში არანაკლებ60(სამოცი)ერთეული(თვეში დაახლოებით5(ხუთი) ერთეული) „ბინულის“ მარკის სასმელი წყალი(19 ლიტრიანი მოცულობის ბოცით) ერთ დისპენსერზე გადაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება დაგამოითხოვოს „მომხმარებლის“ დროებით სარგებლობაში არსებულიქონება.

3.7. „მომხმარებელი“ ვალდებულია გაუფრთხილდეს, დაიცვას მექანიკური დაზიანებისაგან და განადგურებისაგან „3.3.“/“3.4“ პუნქტით განსაზღვრული, მის დროებით სარგებლობაში არსებული ქონება და არ დაუშვას დისპენსერის და ბოცის გამოყენება „ბინულის“ მარკის წყლის გარდა სხვა სახის სითხისათვის.

3.8. „მომხმარებლის“ მიზეზით „3.3.“/“3.4“ პუნქტით გათვალისწინებული ქონებისმექანიკური დაზიანებისან განადგურების შემთხვევაში, იგი უნაზღაურებს „მიმწოდებელს“ თითოეულ სასმელი წყლის დისპენსერისათვის - 380 (სამასოთხმოცი) ლარს, ხოლო თითოეული 19 ლიტრიანი ბოცისათვის- 30 (ოცდაათ) ლარს.

3.9.,,მომხმარებელი“ იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ,,მიმწოდებლის“ ფაქტიურად მიწოდებული პროდუქციის ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1.მხარეებიპასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულებისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ვალდებულებების შეუსრულებლობა არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მათ შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომელებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

6. ხელშეკრულების პირობების შეცვალა,დავათა განხილვა

6.1.ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული შემთხვევით.

6.2. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

6.3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის31 იანვრის ჩათვლით.

7.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 10 დღით ადრე, არცერთმა მხარემ წერილობით არ გამოთქვა სურვილი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველ ჯერზე ერთი წლის ვადით.

8. ხელშეკრულების სხვა პირობები

8.1.ხელშეკრულება შედგენილია სამ ფურცელზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

8.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში,მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“

შპს „სუფთა წყალი“

ს/კ: 205150655
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა:
GE13BG0000000129766400GEL
ბანკის კოდი: BAGAGE22,
მისამართი: ფალიაშვილის
ქ. N118,
ტელეფონი: 2 439 439
Mail:info@binuli.ge

დირექტორი:

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი

მის: ქ. ფოთი, 9 აპრილის 15

ს/კ № 415093981

დირექტორი:

მიხეილ კილასონია

Tourism Development Center Of Poti City Municipality
Digitally signed by Tourism Development Center Of Poti City Municipality
Date: 2019.02.04 14:58:27 +04'00'

დანართი N1

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

სასმელი წყლის შესყიდვა

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	ბოცების რაოდენობა (1 თვეზე)	ბოცების რაოდენობა (11თვეზე)	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	წყალი ბინული (19 ლიტრიანი ბოცა)	5 ცალი	55	10,00	550	ქალაქი ფოთი აღმაშენებლის ქ. N12
	სულ ჯამი:				**550**	

,,შემსყიდველი''

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი

დირექტორი

მიხეილ კილასონია

Tourism Development Center Of Poti City Municipality

Digitally signed by Tourism Development Center Of Poti City Municipality
Date: 2019.02.04 14:58:58 +04'00'

,,მიმწოდებელი''

შპს,,სუფთა წყალი"

დირექტორი

ირაკლი კალმახელიძე